



სად დამტკიცებულ იქმნა და გამოცხადებულ, რომ ყველა სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად და გამგეთ დაინიშნებიან აკადემიაში კურს დასრულებულები და არა სემინარიელები. ბ. რევიზორის ბრიგადისკის თხოვნით და განკარგულებით ყველა ჩვენებურ სასწავლებლებში უეჭველად რუსული ენის მასწავლებელი უნდა იყოს რუსი და არა ქართველი, როგორც აქამდის იყო. შეველა ამ მიზნების წყალობით, ჩვენებური სასწავლებლები გაიყვანა აკადემიებიდან, და ამით შორის უმეტესი ნაწილი რუსია, რადგან ჯერ ერთი რომ ქართველთაგან ძალიან მცირედია აკადემიაში კურს შესრულებული, მეორეთ, ვინც არიან თითო-ორი, იმათაც ადგილს არ აძლევენ. შიუკოვა ჩვენ სემინარიაში ადგილი არ მისცეს, თუმცა ადგილი იყო, აშტარხანის სემინარიაში დანიშნეს და აქ კი გამწესეს ვილაც რუსი. საბავლოვს ადგილი მისცეს მდესაში და არა ჩვენ სემინარიაში. მ. ილურდიე ინსპექტორად გამწესეს მკატორინედარში, თუმცა ითხოვა მბილისის სასწავლებელში ადგილი და სხვა და სხვ.

შველას ახსოვს თუ რა ბოღმა მოუვიდათ დიდს და პატარას, როდესაც ჩვენმა სამღვდლოებამ მბილისის სასულიერო სასწავლებლის შედამხედველად შარშანამოიჩნია ქართველი და არა რუსი.

შველა ამ უფლებების ჩამორთმევის და ჩვენი შევიწროების შემდეგ მასა ვხედავთ ჩვენ? აი რას:

როდესაც პატივის ცემაში იყო ჩვენი ენა, ისტორია, ქართველი მასწავლებელი, თათრულ-ოსური ენები, მაშინ სემინარიაში 140—160 შაგირდის მაგიერ, როგორც ეხლაა, სწავლობდნენ 300-მდე. შპრაველსმა ამათგან შემწეიერად იცოდა ყველა სემინარიის კურსის საგნები, აგრეთვე

ქართული და რუსული ენებიც ზოგიერთები იმდენათ გახსნილები და განათლებულნი იყვნენ, რომ შეეძლოთ საყურადღებო სტატიები დაეწერათ (კიდევ სწერდნენ). მაშინ რომ რიგიანად იყო დაყენებული საქმე კიდევ იმიტომ გამოდიოდნენ ისეთი ჩინებული მამულის შვილები, შესამჩნევი გონებითი ძალები საქვეყნო მოღვაწე პირნი, როგორც მაგ. იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი, დ. ზ. ბაქრაძე, მას. პეტრიაშვილი, ა. საგარელი, ი. ბოგებაშვილი და სხვ. და სხვ. ცოდვია, რომ თითო ამათგან მთელს ეხლანდელ კურსებს დაეადარათ.

ღიახ! მსეთია უნაყოფო აწ მყო და უფერული მომავალი ამ სასულიერო სასწავლებლებისა. უნაყოფო მით, რომ სემინარია ვერ ზრდის ჩვენი ხალხისთვის ვერც ერთს გვარიან მოძღვარს, მქადაგებელს და თავიან კაცს, ვისაცა, ზრდის ისინიც ანაფორას არ კადრულობენ. სამღვთო საქმეს, ხალხის სამსახურს რომელიმე კანცელარიის მწერლობაზე სცვლიან, და მთელს თავის მწარე სიცოცხლეს, უნუგეშო მომავალს ამ თანამედრობაზე ჰლევენ.

უფერულობა, უნაყოფობა სასულიერო სასწავლებლებისა იქიდან გამჰსჭვივის, რომ აწინდელი პროგრამა სრულიად უზმავს ყმაწვილს თვით მომქმედ ძალებს და თავისუფალ არსებას თუთიყუშად ჰხდის. 8-მ წლის ბავშმა ჯერ არც ქართული იცის ხეირიანად, არც რუსული, აბა როგორ იტვირთოს პირველ კლასში ლათინური ენა? მისი ნაზი არსება, სუსტი გონებითი ძალები ამ მძიმე ტვირთ ქვეშ (8 გაკვეთილი კვირაში მხოლოდ ლათინურიდან) იტყლიტება, ძაბუნდება და თითქმის სრულიად კედება. რა დროს ლათინურია ან ბერძნული, როდესაც ბავშვმა თავის ღვიძლ ენაზედაც არ იცის არც

მელიც იწყება საღაც იმერეთის მონასტერში, საცა შალვამ პირველათ ნახა მამარი, და თავდება ლაშა-ბიორგის დარბაზში, შალვას სიკვდილით და მეორე—რომელიც იწყება იოთამის სახლში და თავდება საპატრიარქოში მლიზბარის სიკვდილით. მართალია, ეს მეორე დრამმა არ არის გაშლილი, მის პერიპეტებს ვერ ჰხედავს კაცი სცენაზე, მაგრამ ეს თითონ ავტორის დანაშაულია; ის ერთი დრამის დასაწყისს და ეპილოგს გვიხატავს სცენაზე და დრამის გაშლას მაყურებელის გამოხატულებას უგდებს. ასე რომ აქ ერთი დრამმა მეორე დრამშია ჩადგმული, როგორც თვალმაცდურების ყუთები ერთი ერთმანერთში.

დრამის ნაწილების და მოქმედ პირების გავრცობაში ისე ცოტა სიმეტრია და ხელოვნება აქვს გამოჩენილი ავტორს, მოქმედების ცენტრი ისე განუსაზღვრელია, რომ არც კი იცის კაცმა რომელია პიესაში უმთავრესი მომქმედი პირი, რატომ ჰქვიან

ერთი აზრის რიგიანად გამოთქმა, წერა და დალაგებით ლაპარაკი უბრალო საგნებზე.

ამ უშველებელ მასალას მოსდევს ის, რომ ბავშვი რჩება სრულიად უნოდ: ქართული ენის გაკვეთილები, რადგან მცირეა და უყურადღებოდ მიგდებილი, ამას ვერ სწავლობენ ისე, რომ თავისუფლად შეეძლოთ მასზე ლაპარაკი და წერა; რუსული ენის გაკვეთილები აგრეთვე მცირეა და ამასაც კარგად ვერ სწავლობენ. რჩება ლათინური და ბერძნული ენები; მთელს თავის დღიურ შრომას ყმაწვილი ახმარებს ამ საგნებს, სხვა საგნებს ყურადღებას არ აძლევს; მაგრამ რიგიანად ამ ენებსაც ვერ სწავლობს.

ის სემინარიელები, რომელნიც ამ მკვდარ ენებს მცირე ყურადღებას აქცევენ, და მოწიწებით ეკიდებიან მშობლიურ ენას, ისტორიის წმინდათა ნაწერის კითხვას, შესწავლას, აგრეთვე რუსულ ენას და ლიტერატურას, ისინი გვარიანად მომზადებულები გამოდიან ცხოვრების ასპარესზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გვარი ახალგაზდანი ან ვერ ასრულებენ კურსს, რადგან, ენების უცოდინარობისაგამო, ითხოვენ მათ, თუ გამოდიან, თასში ერთი, ორი, ისიც ხორციულად და სულიერად ტანჯული და დამახინჯებული.

ჩვენმა სამღვდლოებამ მიაქცია ამ გვარ უსამართლოებას ჯეროვანი ყურადღება და სთხოვა მის მ. ყ. უსამღვდელოებს საქართველოს ექსარხოსს, რომ მან იშუამდგომლოს უუწინოდთან, რომ ქართულს ენას გაკვეთილები მოუშატონ. ექსარხოსმა უპასუხა კრებას: მონახეთ ხარჯი და მე მზათა ვარ ავისრულო წადილია.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამღვდელოება არ დაიშლის თავის მოწადინებულ საქმეს და იზოვის საშუალებ

იმას „მამარ ბატონიშვილი“ და არა „შალვა“, „მლიზბარ“ და სხ?

მარდა ამისა თითონ ტიპების... მაგრამ რა ვქნა, რომ იძულებული ვარ ტიპების სახელი არავის არ ვახმარო ამ პიესაში და ამდენ მომქმედ პირებში ერთი ტიპიც ვერ მიპოვებ? პირველ მოსმინეთ ეს პიესა, კიდევ გადიკთხეთ, თუ გნებავთ, და მითხარით: არის ამ პიესაში ტიპი თუ არა? შიგ არის გამოყვანილი მეფე, ბატონის და, კარის-კაცები, კურტიზანები (შესული ყმა), მოსამსახურეები, მაგრამ არც ერთი კაცის მხარე, არც ერთი თანამედრობა, არც ერთი სულის მოძრაობა არ არის აყვანილი ტიპის სიმაღლემდის. აქ ვხედავთ ჩვენ მეფეს, მაგრამ არ არის არც მეფის სულ-გრძელება, არც ქართველი მეფის ჩვეულებრივი სიუხვე, არც ტანტის სიმაღლე და სხვა მეუფებრივი პრესტიჟი; არის ერთი კურტიზანი ივანე პრლუთაშვილი, ამ დრამის იავა, მაგრამ არც ერთი სცენა არ არის, საცა მოქმედებაში ვხედავდეთ მოშურნე კურტიზანს და სხ. და სხ.

ბას, რომ დააჯილდოვოს ქართული ენის მასწავლებელნი რომლებსა მებრ გაკვეთილებისა.

მორემ თუ ასე წავიდა საქმე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რამდენიმე ხანის შემდეგ ჩვენ სრულიად უნონი, უაზრონი დაერჩებით და მუნჯადამიანს დავემგზავნებით. ფისტონი.

ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ ამ დღებში „თფილისის ქველმომქმედ საზოგადოების“ მოქმედების წლიური (1880) ანგარიში, რომლიდანაც შემდეგი ცნობანი მოგვყავს:

მც-და-ერთი წელიწადი გავიდა, რაც ეს საზოგადოება დაარსებულა.

ამ წამად საზოგადოების ხაზინაში არის სულ 12,530 მან. შარშანდელის წლის განმავლობაში თუ ბალებ-კანცერტებიდამ, თუ წვერთაგან და სხვ. შემოსულა—10,156 მ. და დახარჯულა—10,271 მან.

საზოგადოებას აქვს თავის ხარჯზე გახსნილი თფილისში შეიდი სკოლა, ექვსი საქალბო და ერთიც საფო, და ამას გარდა ერთიც პრიუტი (თავ-შესაფარი სახლი) ღარიბ ობლებისათვის. მს სკოლები იმყოფებიან: ჰავლაბარში, შუა-ბაზარში საპიორის ქუჩაზე, პუკიაში, ნავთლულში, ხარფუხში და მთაწმინდაზე. მითოეულ სკოლაზე საზოგადოებას, საშუალო რიცხვით, წელიწადში—1180 მან ეხარჯება.

თფ. ქველ-მომქმედ საზოგადოებაში ითვლება: 7 საპატია წვერი 35 ნამდვილი და 21 კეთილის მყოფელი, სულ 63.

* *

ბათუმიდამ გავნეს „ბავკასიის ტური-ერში“ იწერებიან, რომ ამ თვის 5-ს, ღამით, კიდევ გაჩენილა იქ ცეცხლი და ოც-და-თორმეტი დუქანი გადა-

მაგრამ რომ ეს სერიოზული დრამის მასშტაბი დაუტყვეოთ და დაეფასოთ, როგორც სცენიური პიესა, დრამმა ურიგოთ არ არის გადმოკეთებული რომანიდამ. არის, მართალია, ზოგიერთი სცენები, საცა უფრო დიდი ხელოვნება იყო საჭირო, როგორც, მაგალითებრ, მეფის სილის შემორტყმა, საპატრიარქოს coup de theatre, როდესაც მლიზბარი და შალვა გამოიცილობენ ერთმანერთს და მლიზბარის სიკვდილი. მლიზბარის სიკვდილის დროს, მაგალითებრ, ყველას ეგონა: აი საცა სულ-გრძელი ლაშა-ბიორგი ჩაუტკბილებს მომაკვდავ მლიზბარს უკანასკნელ სიცოცხლის წამებს; შეატყობინებს იმას შალვას ვაჟკაცობას და მამულის წინაშე დამსახურებასა, მაგრამ მლიზბარი ჰკვდება და მეფე, გაშეშებული, არის აყუდებული მლიზბარზე მოშორებით. ამ გვარ შემთხვევისათვისაა რომ იმეორებს სარსე თავის შესანიშნავ ფრანზას une scene a faire (ერთი გასაკეთებელი სცენა). დრამატურგს არა აქვს ნება არ დააკმაყოფილოს საზო-



დუქნშიაც ეს სკანდალისტი და მი-
სი მოსარჩლე ანებიც ერთად და-
თერენ სკანდალის ჩადენის ერთი სა-
თის წინედ.

3) ლ-ძეს მ-ძე არ ჩაუჩოქებია და
არც წიხლი ჩაუცემიაო. ამ სიტ-
ყვის სიტყუეს სამოცამდე მოწ-
მეები დაამტკიცებენ, მაგრამ ერთი
უხამსი მოსარჩლე სკანდალისტთა კი
უტიფარად ამბობს „არაო“? თუ არა
და ყურში მაინც ჰკითხეთ მ-ძეს, თე-
ძოს ავი როგორ გაქვს-თქო, და
იმედია ჩუმად თქვენ მაინც გეტყვისთ
მართალს...

4) ბაბაშვილი და ჩიკვაიძე ლ-ძეს ეხმა-
რებოდნენ და მ-ძეს სტემდ., თუ ლ-ძე,
ერთს დაპირადა მ-ძეს ისინი ორსაო. ბანა
მოხუბართა გაშეგლება რომელიმე
მათგანის მხარის დაჭერა არის? პირველ-
მათგანმა მაშინ გააშეგლა მოხუბარ-
ნი, რაცა ლ-ძემ ჩაჩოქა ხის ძირში
მ-ძე და წიხლი ჩაჭკრა, და მეორემ
ხელში ჯოხის დაკრით სატყვარი
გაადგინა მ-ძეს იმ დროს, როცა
ეს მუცელში ჩაცემას უპირობდა
ლ-ძეს.

5) ჯოხი ლ-ძისათვის არავის წაურ-
თმევიაო, სანამ მ-ძემ ხელზედ ხანჯა-
ლი არ დაჭრაო. ჯოხი, ბატ. „იქ-
სო,“ ლ-ძეს წაართვეს ავლიანებმა
მკლავზედ (და არა ხელზედ) ხანჯლის
დაკვრამდის, და ეს დაკრული იყო
მ. ანისა და არა მ-ძისაგან, როგორც
თქვენა ბრძანებთ. რამდენი მოწმეები
გნებათ ამის დასამტკიცებლად?

6) თუმცა მ-ძემ ლ-ძეს „თათა-ჯვარ
უთავაზა მხარ-ბეჭებში ხანჯალი და
ვერც ერთჯერ ჭრილობა ვერ დააჩი-
ნა, მაგრამ „შეიძლებადა“ „არ ნლო-
მიყო პირით დაკვრაო.“ შეძლებით
კი შეიძლებადა, მაგრამ საქმეც ის
არისა, თიოდ-ჯვარ პირით მოქნევი-
დამ ზოგჯერ სატყვარი გადუტრიალ-
და და ზოგჯერ პირითაც დაარტყა,
მაგრამ ჩოხის მეტი ვერაფერი გაუჭრა
რალაც ბედათ... წინა წერილში მე
ვამბობდი რომ მ-ძეს ხანჯალი „ჭაქში
გადუტრიალდებოდა-მეთქი“ და X-ს
კი ეს სიტყვები, ქართულის უცოდინ-
ნარობის წყალობით, ისე გაუგია,
ვითომც მე მეთქვას „ჭაქმა ვადაუტ-
რიალო“ და ამის გამო ბრძანებს:
„ჭაქს (ვინ?) კორრესპონდენტი (ვის?)
სტუმარი ვინმე უნდა იყოს ჩვენის
ქვეყნისა, რადგან მას არ სცოდნია
(,) ხანჯალს როგორ მარჯვედ ხმა-
რობს ჩვენი ქართველობა.“ „საიღამ
სადაო, წმიდაო საბაო!“ სად ორიოდ
სკანდალისტების კინწლოადა და სად
„მართველობა“?!

ქუთაისი, 5 ივნისი.

განცხადებანი

ემწვილს ვაცს ჰსურს აიღოს ფრანცუ-
ზულისა და ლათინურის ენის გაგებითა
ბი. თანხმად ქაქას ვარუთაც წავიდეს.
მსურველს შეუძლიან იკითხოს სოლოლა-
კზე, სუმბათოვის სახლებში. ვინდასხე-
ვის თამბაქოს მადანაში. (3-2)

მოსახურაში 4 მანეთად, ნასოსები
1 მან., დასაკეტი სკამები 2 მან., სკა-
მიანი ჯოხი 4 მან., კრავატისანი კრესლო
10 მან. დაწვეული, ფილტრები 4 მან.
ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., სრუს-
ტადის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო,
ინგლისური ვანები და სხვ. **ინგლისის
მალაზიაში.**

10,000 რწველი ქაღის წინდები 25
კაპ. დაწვეული 75 კაპ.-დისინ, 10,000
რწვე. კაღის წინდები 35 კაპ. 1 მან.-
დისინ, 7,000 ზადნასები 5 კაპ.—5
მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35
მან.-დისინ, 400 ანშინი ბოძაზე 1
მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800
ანშ. ზარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ,
300 რეკლავები 4 მ.—35 მ.-დისინ,
200 ადამი ნახევარ ფასად. 10,000
გირვანქა მშენიერი ჩაი თავის ჩაინიკე-
ბით 1 მ.—65 კაპ., რვისის კაღები
შეკლა გვარ სელისათვის. (15-4)

ლონდონის მალაზია

მრეწვის მოედანზე № 2, კომმერ-
ციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია
წმინდა ძიხტის და ჩინეთის პირველი
მაწვევის ჩაის გასაყიდველად და ასაუ-
კეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-
გალითად: თოფების, რეკლავების-
სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი)
კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე,
ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-
ლი სუკრის ერბო, სასურნებლის,
საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი
წინდების, ჩულქების, კარანდაშების,
რკინის კალმების და სხვ... (100-85)

ბამოვიდა „დრო არის საქმეს უ-
შდებით“ თხზულება ქრისტეფორე
მამაცაშვილისა და „პაი მართალთა!“
თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომ
მელნიც ისყიდებიან: თბილისს, ჩარ-
კვიანის წიგნის მალაზიაში და ბრიტუ-
როვის წიგნის მალაზიაში; ბორს მა-
რიამ ქერესელიძის წიგნის მალაზიაში,
მეთათის მერარდის წიგნის მალაზია-
ში და თელავს ხორკლის წიგნის მა-
ლაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი
ექვსი შაური. (5-5)

ლონდონის მალაზია კომერციული

ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-
განსხვადვით პირველი მკრეფილისა და
საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-
გალითურ: თოფებისა, რეკლავებისა,
კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა,
დანებისა, კოვჩებისა, ჩაინიკებისა, შო-
კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონი-
სა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-
ლაღისა, კანანაშებისა, კაღებისა, უხა-
გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშე-
ვინი ზეთისა) და სხვ. სააკეტო მა-
კინტომის მოსახურავებს განსხვადვად
კანფეტების და ბატკურის და კაპშ. მუ-
რებისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდე-
ბისა ნოტინგჰამიდან. ნამდვილი ჭაქანს
იგარები. (100-83)

**მიუხედავად იმისა, რომ ბაჟი მოი-
მატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფა-
სად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი
1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო
მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.,
მშენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ.
80 კ. ძირიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა
უქალაღლოთ.**

ინგლისური რეკლავები 4 მ.—40
მანეთადინ და თოფები 20—200 მა-
ნეთადინ. **ინგლისის მალაზიაში.**
60 კ. ერთი გირვანქა. (100-69)

თიანეთის გამსესხებელ და შემნახველ ამხანაგობისა 1880 წლისა. 1 იანვარს 1880 წელისა იყო:

	მან.	კაპ.
წილადი ფული	3,191	87
სასარგებლოდ შემოტა- ნილი	1,040	
ნასესხი: ა) პირველ და- წყებით		
ბ) მეორე შემდგომ აღე- ბული	2,210	
სათადარიგო თანხა	255	67
წმინდა მოგება	389	41
ჯამი	7,086	95

შემოსავალი:	1880	წელსა	გასავალი:		
	მან.	კაპ.			
წილადი ფული	633	71	წილადი ფული	645	5
სარგებელი დაჭირილი განსესხების დროს	485	17	მოგება 1879 წლის წი- ლადებ მიცემული	70	
ჯარიმა	90	18	ზანსესხებული	3,693	
ღაბრუნებული სესხები	3,175	70	სარგებელი დაბრ. ვადაზე წინ ვადახდ. სესხი	12	14
სასარგებლოდ შემოტა- ნილი	397		სასარგებლოდ შემოტა- ნილი	150	
ნასესხი: ა) პირველ-დაწ- ყებით.			სარგებ. სასარგებლოდ შემოტანილისათვის	8	48
ბ) შემდგომ აღებული	8,000		ნასესხი:		
სათადარიგო თანხა	35	29	ა) პირველ დაწყებითი		
სარგებლიანი ქალაღდები			ბ) შემდგომ აღებული	7,000	
სარგებელი სარგებლიანი ქალაღდებისა			სარგებელი ნასესხებზედ მიცემული	311	61
სხვა-და-სხვა შემოსავა- ლი			სათადარიგო თანხა		
აღებ-მიცემის შემოსა- ვალი			სარგებლ. ქალაღდები		
ჯამი	12,817	5	სარგებელი სარგებლიანი ქალაღდებისა		
			სამმართველოს ხარჯი	220	
			სხვა-და-სხვა გასავალი		
			აღებ-მიცემობის გასავა- ლი	162	91
			ჯამი	12,273	19

1 იანვარს 1881 წელს არის:

	მან.	კაპ.
წილადი ფული	3,180	53
სასარგებლოდ შემოტა- ნილი	1,287	
ნასესხი: ა) პირველ და- წყებითი		
ბ) შემდგომ აღებული	3,210	
სათადარიგო თანხა	290	96
წმინდა მოგება	179	62
ჯამი	8,148	11

გამგებლები: გ. ჯაფარიძე, გ. გოჭაიკი, დ. როსტომაშვილი. (3-3)